

ლევ ზოდსვონი

# ელსაჩება

რუსულიდან თარგმნა  
გია ბერაძემ



გამომცემლობა  
ინტელექტი



საგამომცემლო პროექტის ავტორი  
**ზვინაღ კვარაცხელია**

ლევ ტოლსტოი  
**აღსარება**

LEO TOLSTOY  
**MY CONFESSION**

*translated by Gia Beradze*

რედაქტორები  
ნათო გორდელაძე  
სერგო წურწუშია

დამკაზადონებელი  
ლიკა სხირტლაძე

გარეკანის დიზაინერი  
თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-31-268-7

© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2020.

## შესავალი ჯერარდაბეჭდილი თხზულებებისათვის

### I

მე მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენით მომნათლეს და აღმზარდეს. მას მასწავლიდნენ ბავშვობაშიც და მერეც, მთელი ყრმობისა და სიჭაბუკის განმავლობაში, მაგრამ, როცა 18 წლისა უნივერსიტეტის მეორე კურსიდან გამოვედი, უკვე აღარაფრის აღარ მჯეროდა იმისგან, რაც მასწავლეს.

ზოგიერთი მოგონების მიხედვით თუ ვიმსჯელებ, სერიოზულად არც არასდროს მწამდა. უბრალოდ, ნდობა მქონდა იმისა, რასაც მასწავლიდნენ და რაც უფროსებს სჯეროდათ, მაგრამ ეს რწმენა მყარი არ იყო.

მახსოვს, როცა თერთმეტი წლის ვიყავი, ერთმა ბიჭმა, ვალოდენკა მ-მ, გიმნაზიის მოსწავლემ, რომელიც უკვე დიდი ხნის გარდაცვლილია, კვირა დღეს ჩვენთან სტუმრობისას, როგორც ახალი ამბავი, გიმნაზიაში გაკეთებული აღმოჩენის შესახებ განგვიცხადა. აღმოჩენა კი ის გახლდათ, რომ ღმერთი არ არსებობს და ყველაფერი, რასაც ჩვენ გვასწავლიან, გამონაგონია მხოლოდ (ეს იყო

1838 წელს). მახსოვს, ჩემი უფროსი ძმები ამ ახალი ამბით როგორ დაინტერესდნენ და სათათბიროდ მიმინვიეს. მახსოვს, ყველანი გამოვცოცხლდით და ნათქვამი ძალზე საინტერესოდ და სავსებით შესაძლებლად მივიჩნიეთ.

მახსოვს კიდევ, რომ, როცა ჩემი უფროსი ძმა, დიმიტრი, უკვე უნივერსიტეტის სტუდენტი, მისი ბუნებისთვის დამახასიათებელი მგზნებარებით განიმსჭვალა რწმენით, დაიწყო მარხვა, სუფთა და ზნეობრივი ცხოვრება და სიარული ყოველ საეკლესიო მსახურებაზე, ჩვენ ყველანი, უფროსებიც კი, მას გამუდმებით სასაცილოდ ვიგდებდით და, რატომღაც, ნოე შევარქვით. მახსოვს, მუსინ-პუშკინი, მაშინ ყაზანის უნივერსიტეტის მზრუნველი, როცა საცეკვაოდ გვიხმობდა, დაცინვით არწმუნებდა უარზე დამდგარ ჩემს ძმას, რომ დავითიც კი ცეკვავდა კილობნის წინ. მე მაშინ უფროსების ასეთ ხუმრობებს თანაუფერძნობდი და ვასკვნიდი, რომ კატეხიზმოს სწავლა საჭიროა, ეკლესიაში სიარული საჭიროა, მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან სერიოზულად არ უნდა მიიღო. მახსოვს კიდევ, რომ სრულიად ახალგაზრდა, ვოლტერს ვკითხულობდი და მისი დაცინვები არა თუ ჩემს აღშფოთებას არ იწვევდა, არამედ პირიქით – მამხიარულებდა.

რწმენას მეც ასევე განვუდექი, როგორც ამას აკეთებდნენ და აკეთებდნენ ადამიანები, რომელთაც ჩვენი მსგავსი განათლება აქვთ. ეს, ჩემი აზრით, უმეტეს შემთხვევაში, ასე ხდება: ადამიანები ცხოვრობენ ისე, როგორც ცხოვრობენ, ცხოვრობენ კი იმ სანყისების საფუძველზე, რომელსაც არამცთუ არაფერი აქვს საერთო სარწმუნოებრივ მოძღვრებასთან, არამედ დიდწილად მისი საპირისპიროც კია. სარწმუნოებრივი მოძღვრება ცხოვრებაში არ მონაწილეობს, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დროსაც არასოდეს

გვიხდება მასთან შეხება, ისევე როგორც პირად ცხოვრებაში. ეს სარწმუნოებრივი მოძღვრება იქადაგება სადღაც სხვაგან, ცხოვრებისაგან შორს, და მისგან დამოუკიდებლად. თუ მას გადააწყდები კიდეც, მხოლოდ როგორც გარეგნულ, ცხოვრებასთან დაუკავშირებელ მოვლენას.

ადამიანის ცხოვრებით, მისი საქმეებით, როგორც ახლა, ასევე მაშინ, ვერაფრით მიხვდები, მორწმუნეა თუ არა ის. თუ არის კიდეც განსხვავება აღმსარებელ მართლმადიდებლებსა და მის უარმყოფებს შორის, ის უთუოდ არ არის პირველთა სასარგებლოდ. როგორც ახლა, ისევე მაშინ, მართლმადიდებლობის აშკარად მალიარებლები და აღმსარებლები, უმეტესად გვხვდებოდა ჩლუნგ, სასტიკ და უზნეო ადამიანებს შორის, რომელთაც საკუთარი თავი მნიშვნელოვან ვინმედ მიაჩნდათ. მაშინ, როცა გონიერება, პატიოსნება, პირდაპირობა, გულკეთილობა და ზნეობა ძირითადად იმ ადამიანებში გვხვდება, საკუთარ თავს ურწმუნოს რომ უწოდებენ.

სკოლაში კატეხიზმოს ასწავლიან და მოსწავლეებს ეკლესიაში აგზავნიან. ჩინოვნიკებისგან მოითხოვენ მოწმობას, რომ ის მაზიარებელია. მაგრამ ჩვენი წრის ადამიანს, რომელიც უკვე აღარ სწავლობს და სახელმწიფო სამსახურში არ არის, ახლაც და წარსულში კიდეც უფრო მეტად შეეძლო, ათეულობით წელი ეცხოვრა ისე, ერთხელაც არ გახსენებოდა ქრისტიანებს შორის რომ ცხოვრობს და თვითონ ის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რწმენის აღმსარებელია.

ასე რომ, ახლაც და ადრეც, სარწმუნოებრივი მოძღვრება, ნდობის საფუძველზე მიღებული და გარედან ზეწოლით მხარდაჭერილი, თანდათან დნება ცოდნისა და ცხოვ-

რებისეული გამოცდილების გავლენით, ამ მოძღვრებას რომ ეწინააღმდეგება. და ადამიანი, ხშირ შემთხვევაში, ძალიან დიდხანს ცოცხლობს იმ წარმოდგენით, თითქოს მასში კვლავაც მთლიანი იყოს ცოდნა, რომელიც ბავშვობიდან ჩაუნერგეს, მაშინ, როცა სინამდვილეში მისი კვალიც კი გამქრალია.

ს..., ჭკვიანი და გულმართალი ადამიანი, მიყვებოდა, როგორ დასრულდა მისი რწმენა. ოცდაექვსი წლის იყო უკვე, როცა ერთხელ, ღამისსათევში, ნადირობის დროს, იგი ძველი, ბავშვობიდან შექნილი ჩვევით, მწუხრზე ლოცვად დადგა. უფროსი ძმა, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა სანადიროდ, თივაზე იწვა და მას აკვირდებოდა. როცა ს-მ ლოცვა დაამთავრა და უკვე წვებოდა, ძმამ უთხრა: „შენ ამას აქამდე აკეთებ?“ მეტი ერთმანეთისთვის არაფერი უთქვამთ. და ამის შემდეგ ს-მ ლოცვა და ეკლესიაში სიარული შეწყვიტა. და, აი, უკვე ოცდაათი წელია, აღარც ლოცულობს, აღარც ეზიარება და აღარც ეკლესიაში დადის. და არა იმიტომ, რომ თავისი ძმის შეხედულებები გაიზიარა და არც იმიტომ, რომ რალაც გადაწყვეტილება მიიღო, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ძმისგან ნათქვამი ეს სიტყვა თითქოს თითის კვრა იყო ისედაც დანგრევის პირას მყოფი კედლისთვის. ეს სიტყვა იყო მითითება იმაზე, რომ იქ, სადაც მას რწმენა ეგულებოდა, დიდი ხანია სიცარიელეს დაესადგურებინა და ამიტომ სიტყვები, რომლებსაც ის წარმოთქვამდა, პირჯვრის გადანერა და თავის დაკვრა, რასაც ლოცვის დროს აკეთებდა, არსებითად სრულიად უაზრო მოქმედებები იყო. მას შემდეგ, რაც მათი უაზრობა გააცნობიერა, აღარ შეეძლო ლოცვები გაეგრძელებინა.

ვფიქრობ, რომ ეს ასე იყო და ახლაც ასეა ადამიანთა დიდი უმრავლესობისათვის. მე ვლაპარაკობ ჩვენნაირი განათლების მქონე ადამიანებზე, ადამიანებზე, რომლებიც საკუთარ თავთან მართალნი არიან და არა მათზე, ვინც თვით რწმენას რალაც დროებითი მიზნების მიღწევის საშუალებად აქცევს (ეს ხალხი ყველაზე მეტად ურწმუნოები არიან იმიტომ, რომ თუ რწმენა მათთვის რაიმე ცხოვრებისეული მიზნის მიღწევის საშუალებაა, მაშინ ეს უკვე ალბათ რწმენა აღარ არის). ეს ჩვენი მსგავსი განათლების მქონე ადამიანები ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, როცა უკვე შეამჩნიეს, ცოდნის სინათლემ და ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ხელოვნური შენობა რომ გააღხო და ადგილი გაათავისუფლა, ან ჯერ კიდევ არ შეუმჩნევიათ ეს.

ბავშვობიდან შეთვისებული სარწმუნოებრივი მოძღვრება ჩემშიც ისევე გაქრა, როგორც სხვებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რამდენადაც მე ძალიან ადრე დავინწყე ბევრი კითხვა და ფიქრი, რელიგიისგან ჩემი განდგომა ადრევე გახდა საცნაური. მას შემდეგ, რაც თექვსმეტი წლის გავხდი, შევწყვიტე ლოცვა და, მასთან ერთად, საკუთარი სურვილით შევწყვიტე ეკლესიაში სიარული და მარხულობა. აღარ მწამდა ის, რისი რწმენაც ბავშვობიდან ჩამინერგეს, თუმცა რალაც მაინც მწამდა. და რა მწამდა, ამის შესახებ არაფრის თქმა არ შემიძლო. ღმერთიც მწამდა, ან, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, ღმერთს არ უარვყოფდი, მაგრამ რომელ ღმერთს, ამაზე ვერაფერს ვიტყვოდი. არც ქრისტეს და მის მოძღვრებას უარვყოფდი, მაგრამ არც იმის თქმა შემიძლო, მისი მოძღვრების არსი რა იყო.

ახლა, როცა იმ დროს ვიხსენებ, ნათლად ვხედავ, რომ ჩემი რწმენა – ის, რაც ცხოველური ინსტინქტების გარდა

ჩემს ცხოვრებას ამოძრავებდა, – ჩემი ერთადერთი რწმენა იმ დროს, საკუთარი თავის სრულყოფის რწმენა იყო. მაგრამ როგორ გამოიხატებოდა ეს სრულყოფა და რა იყო მისი მიზანი, ამის თქმა არ შემეძლო. მე ვცდილობდი საკუთარი თავის გონებრივად სრულყოფას – ვსწავლობდი ყველაფერს, რაც შემეძლო და რასაც ცხოვრებაში გადავეყრებოდი. მე ვცდილობდი, სრულმყოფი ჩემი ნებისყოფა – ჩემთვის წესებს ვადგენდი და შემდეგ მათ შესრულებას ვლამობდი. სრულყოფილი საკუთარ თავს ფიზიკურად ათასგვარი ვარჯიშით, ვხვეწიდი ძალასა და მოქნილობას და სხვადასხვა თვითაღკვეთით ვასწავლიდი საკუთარ თავს ამტანობასა და მოთმინებას. და ამ ყველაფერს სრულყოფად მივიჩნევდი. ყველაფრის დასაწყისი, რა თქმა უნდა, ზნეობრივი სრულყოფა იყო, მაგრამ ის მალე საერთოდ სრულყოფით შეიცვალა, ანუ სურვილით, უკეთესი ვყოფილიყავი არა საკუთარი თავისა და ღმერთის წინაშე, არამედ უკეთესი ვყოფილიყავი სხვა ადამიანების მიმართ. და, ძალიან მალე, ეს სწრაფვა, უკეთესი ვყოფილიყავი ადამიანების მიმართ, შეიცვალა სურვილით, ვყოფილიყავი სხვებზე ძლიერი, ანუ სხვებზე უფრო სახელოვანი, მნიშვნელოვანი და მდიდარი.

## II

ოდესმე მოგიყვებით ჩემი ცხოვრების ამბავს – ამაღლებელსა და ჭკუის სასწავლებელს – ახალგაზრდობის იმ ათი წელიწადისას. ვფიქრობ, რომ ეს ბევრს, ძალიან ბევრს აქვს გამოცდილი. მე მთელი სულითა და გულით ვცდილობდი, კარგი ვყოფილიყავი, მაგრამ ახალგაზრდა გახლდით, ვნებებით შეპყრობილი და მარტომყოფი, სრულიად მარტო, როცა რაღაც კარგს ვეძებდი. ყოველთვის, როცა ვცდილობდი გამემჟღავნებინა, თუ რა იყო ჩემი ყველაზე გულწრფელი სურვილები: ის, რომ მიწოდდა, ზნეობრივად კარგი ვყოფილიყავი – ადამიანების მხრიდან სიძულვილსა და დაცინვას ვაწყდებოდი. და როგორც კი საძაგელ ვნებებს ავყვებოდი, მაქებდნენ და მახალისებდნენ. პატივმოყვარეობა, ძალაუფლებისმოყვარეობა, ანგარებიანობა, ავხორცობა, სიამაყე, მრისხანება – ამ ყველაფერს პატივს სცემდნენ. მივეცემოდი თუ არა ამ ვნებებს, უფროსების მსგავსი ვხდებოდი და ვგრძნობდი, რომ ჩემით კმაყოფილნი იყვნენ. ჩემი კეთილი დეიდა, ძალიან სუფთა არსება, ადამიანი, რომელთან ერთად მე ვცხოვრობდი, ყოველთვის მეუბნებოდა, არაფერი ისე ძლიერად არ მსურს შენთვის, როგორც ის, რომ გათხოვილ ქალთან გქონდეს კავშირიო:

"Rien ne forme un jeune home comme une liaison avec unt femme comme il faut".<sup>1</sup> და კიდევ ერთი ბედნიერება სურდა ჩემთვის – ადიუტანტი ვყოფილიყავი, და უმჯობესი იქნებოდა, მეფის ადიუტანტი. და მაინც, უდიდეს ბედნიერებად ის მიაჩნდა ჩემთვის, რომ ძალიან მდიდარ გოგონაზე დავქორწინებულიყავი და რომ ამ ქორწინების შედეგად, რაც შეიძლება მეტი მონა მყოლოდა.

ძრწოლის, ზიზლისა და გულისტკივილის გარეშე არ შემიძლია გავისხენო ის წლები. მე ვკლავდი ადამიანებს ომში, ვინვევდი დუელში, რათა მომეკლა, ვაგებდი კარტში, ვჭამდი გლეხების ნაჯაფს, ვსჯიდი მათ, გარყვნილად ვცხოვრობდი, ვიტყუებოდი. სიცრუე, ქურდობა, ყველა სახის გარყვნილება, ლოთობა, ძალმომრეობა, მკვლელობა – არ არის დანაშაული, რომელსაც არ ჩავდიოდი და ამ ყველაფრისთვის მაქებდნენ და ჩემი თანატოლები შედარებით ზნეობრივ ადამიანად მიმიჩნევდნენ და მიმიჩნევენ.

ასე ვცხოვრობდი ათი წელი.

ამ დროს დავიწყე წერა პატივმოყვარეობის, ანგარებისა და სიამაყის გამო. და ჩემს ნაწერებშიც იმასვე ვაკეთებდი, რასაც ცხოვრებაში. იმისთვის, რომ მქონოდა დიდება და ფული, რა მიზნითაც ვწერდი, საჭირო იყო, დამემალა კარგი და გამემჟღავნებინა ცუდი. და ასეც ვაკეთებდი. ბევრჯერ მოვახერხე, ჩემს ნაწერებში გულგრილობისა და მსუბუქი დაცინვის საფარქვეშ დამემალა ის სწრაფვა სიკეთისაკენ, რომელიც ჩემი ცხოვრების აზრს შეადგენდა. და მიზანს ვაღწევდი: მე მაქებდნენ.

---

<sup>1</sup> არაფერი ისე არ ახალისებს ახალგაზრდა კაცს, როგორც სასიყვარულო კავშირი წესიერ ქალთან.

ოცდაექვსი წლისა ომიდან პეტერბურგში დავბრუნდი და მწერლებს დავუახლოვდი. ისე მიმიღეს, როგორც თავისიანი. მეპირფერებოდნენ კიდევ. და უკან მოხედვაც ვერ მოვასწარი, რომ წოდებრივი მწერლური შეხედულებები ცხოვრებაზე იმ ადამიანებისა, რომლებსაც დავუახლოვდი, იმდენად შევითვისე, რომ მთლიანად შევწყვიტე მცდელობა, უკეთესი გავმხდარიყავი. ამ მწერლების შეხედულებებმა განამტკიცა თეორია, რომელიც ჩემს გარყვნილებას ამართლებდა.

ამ ადამიანების, ჩემი თანამოკალმეების, შეხედულება ცხოვრებაზე ის გახლდათ, რომ ცხოვრება მიდის, ვითარდება და რომ ამ განვითარებაში მთავარ მონაწილეობას ვიღებთ ჩვენ, მოაზროვნე ადამიანები, მოაზროვნე ადამიანებიდან კი მთავარ გავლენას ჩვენ ვახდენთ – ხელოვანები, პოეტები. ჩვენი მოწოდებაა, ვასწავლოთ ადამიანებს. იმისთვის კი, რომ საკუთარი თავის მიმართ არ გაგვჩენოდა ბუნებრივი კითხვა: რა ვიცი თვითონ მე და რა უნდა ვასწავლო – ეს თეორია გვეუბნებოდა, რომ ამის ცოდნა საჭირო არც არის, რომ ხელოვანი და პოეტი გაუცნობიერებლად ასწავლიან. მე შესანიშნავ ხელოვანად და პოეტად მივაჩნდი მათ, ამიტომ ჩემთვის სრულიად ბუნებრივი იყო, ეს თეორია შემეთვისებინა. მე, ხელოვანი, პოეტი – ვწერდი, ვასწავლიდი, მაგრამ რას, თვითონაც არ ვიცოდი. ამისთვის ფულს მიხდიდნენ, მქონდა საუკეთესო საკვები, სახლი, მყავდა ქალები და ვიყავი მაღალი წრის საზოგადოებაში. მაქებდნენ და მადიდებდნენ. გამოდიოდა, რომ ის, რასაც ვასწავლიდი, ძალიან კარგი იყო.

ეს რწმენა პოეზიის მნიშვნელობისა და ცხოვრების განვითარებისა, იყო რწმენა და მე მისი ერთ-ერთი ქურუმი

ვიყავი. ქურუმობა ძალზე ხელსაყრელი და სასიამოვნო გახლდათ. მე საკმაოდ დიდხანს ვცხოვრობდი ამ რწმენით და მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არ მეპარებოდა. მაგრამ ასეთი ცხოვრების მეორე, და განსაკუთრებით მესამე წელს, ამ რწმენის უცდომლობაში დავეჭვდი და მისი გამოკვლევა დავინყე. ეჭვისთვის პირველი საბაზი ის იყო, რომ თანდათან ვამჩნევდი, ამ რწმენის ქურუმთაგან ყველა არ ეთანხმებოდა ერთმანეთს. ერთნი ამბობდნენ, რომ ჩვენ ყველაზე კარგი და სასარგებლო მასწავლებლები ვიყავით და იმას ვასწავლიდით, რაც საჭირო იყო, სხვები კი არასწორად ასწავლიდნენ. მეორენი ამბობდნენ, არა, ნამდვილები ჩვენ ვართ, თქვენ კი არასწორად ასწავლითო. და ისინი დავობდნენ, ჩხუბობდნენ, ილანძღებოდნენ, თაღლითობდნენ, ერთმანეთს ატყუებდნენ. გარდა ამისა, მათ შორის იყო მრავალი ადამიანი, რომელთაც საერთოდ არ ანაღვლებდათ, ვინ მტყუანი გახლდათ და ვინ მართალი. ისინი, უბრალოდ, თავიანთი ანგარებიანი მიზნების მიღწევას ცდილობდნენ ამ საქმიანობის საშუალებით. ამ ყველაფერმა მაიძულა, ეჭვი შემეტანა ჩვენი რწმენის ჭეშმარიტებაში.

გარდა ამისა, რადგან დავეჭვდი თვით მწერლობის რწმენაში, უფრო ყურადღებით დავინყე ქურუმებზე დაკვირვება და დავრწმუნდი, რომ ამ რწმენის თითქმის ყველა ქურუმი, მწერლები, უზნეო ადამიანები იყვნენ და უმეტესად ცუდები, არარაობები. ბევრი მათგანი დაბლა იდგა იმ ხალხზე, რომელთაც ჩემი აღვირახსნილი ცხოვრების დროსა და ომში შევხვედრივარ. მაგრამ თვითდაჯერებულნი და საკუთარი თავით კმაყოფილნი კი იყვნენ, იმდენად, რამდენადაც კმაყოფილი შეიძლება იყოს მართლა წმინდა ადამიანი, ან ისეთი,

რომელსაც საერთოდ არ აქვს წარმოდგენა, წმინდანობა რა არის. ადამიანები შემზიზლდა, საკუთარი თავიც შემზიზლდა და მივხვდი, რომ ეს რწმენა მცდარი იყო.

მაგრამ საოცარია, რომ თუმცა ამ რწმენის მცდარობას მალე მივხვდი და მასზე უარი ვთქვი, ამ ხალხისგან მონიჭებულ ხელოვანის, პოეტის, მასწავლებლის ჩინს ვერ შეველიე. გულუბრყვილოდ მჯეროდა, რაკილა პოეტი და ხელოვანი ვარ, შემიძლია ვასწავლო ყველას ისე, რომ თვითონაც არ ვიცოდე, რას ვასწავლი. და კვლავაც განვაგრძობდი ამის კეთებას.

ამ ხალხთან დაახლოებამ ერთი ახალი ნაკლი გამიჩინა – ტკივილამდე განვითარებული სიამაყე და გიჟური თვითდაჯერება იმისა, რომ მონოდებული ვარ, ვასწავლო ადამიანებს მაშინაც კი, თუ თვითონაც არ მეცოდინება, რას ვასწავლი.

ახლა, როცა ვიხსენებ იმ დროს, ჩემს მაშინდელ განწყობილებებსა და განწყობილებებს იმ ადამიანებისა (ასეთები ხომ ახლაც ათასობითაა), შეცოდებისა და შიშის გრძნობა მიჩნდება და თან მეცინება – ანუ მიჩნდება სწორედ ის გრძნობა, რომელსაც ადამიანი საგიჟეთში განიცდის.

ჩვენ მაშინ, ყველანი, დარწმუნებული ვიყავით, რომ საჭიროა ვილაპარაკოთ და ვილაპარაკოთ, ვწეროთ, დავბეჭდოთ – რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება მეტი. რომ ეს ყველაფერი საჭიროა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის. და ათასობით ჩვენგანი უარყოფდა, ლანძღავდა ერთმანეთს, ყველანი წერდნენ, ბეჭდავდნენ, სხვებს ასწავლიდნენ. და ვერ ვამჩნევდით, რომ არაფერი ვიცოდით, რომ პასუხი არ გვქონდა ცხოვრების ყველაზე მარტივ კითხვაზე: რა

არის კარგი და რა არის ცუდი. ჩვენ, ყველანი, ისე, რომ ერთმანეთს არ ვუსმენდით, ერთდროულად ვლაპარაკობდით. ხანდახან ვაქეზებდით და ვაქებდით ერთმანეთს, იმისთვის, რომ ჩვენც წავექეზებინეთ და ჩვენც შევექეთ, ხანდახან კი გალიზიანებულები ვყვიროდით, რათა სხვების ყვირილი გადაგვეფარა. ზუსტად ისე, როგორც საგიჟეთში.

ათასობით მუშაკი, დღისითა და ღამით, ქანცის განყვეტამდე მუშაობდა. ბეჭდავდნენ მილიონობით სიტყვას, წიგნებს ანყობდნენ და ფოსტა მათ მთელ რუსეთში ავრცელებდა. ჩვენ კი სულ უფრო და უფრო მეტს ვასწავლიდით, ვასწავლიდით და ვასწავლიდით და ვერაფრით ვასწრებდით, ყველაფერი გვესწავლებინა და ვბრაზობდით, რომ ასე ნაკლებად გვისმენდნენ.

გამაოგნებლად უცნაურია, მაგრამ ახლა ჩემთვის გასაგებია. ჩვენ დაუფარავად, გულწრფელად ვამბობდით, რომ გვინდოდა, რაც შეიძლება მეტი ფული და ქება მიგვეღო. ამ მიზნის მისაღწევად სხვა არაფრის გაკეთება შეგვეძლო გარდა იმისა, რომ გვეწერა წიგნები და გვეწერა გაზეთებისათვის. და ჩვენც სწორედ ასე ვიღვწოდით. მაგრამ იმისათვის, რომ ასეთი უსარგებლო საქმე გვეკეთებინა და თან დარწმუნებული ვყოფილიყავით, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანები ვართ, გვჭირდებოდა ახსნა, რომელიც ჩვენს საქმიანობას გაამართლებდა. და, აი, რა მოვიფიქრეთ: ყველაფერი, რაც არსებობს, გონივრულია. ყველაფერი, რაც არსებობს, ვითარდება. და ყველაფერი ვითარდება განათლების საშუალებით. განათლება კი წიგნებითა და გაზეთებით განისაზღვრება. ფულს იმიტომ გვიხდიან და პატივს იმიტომ გვცემენ, რომ ვწერთ წიგნებს

და ვწერთ გაზეთებისათვის, ამიტომ ჩვენ ყველაზე სასარგებლო და კარგი ადამიანები ვართ. ასეთი განსჯა საუკეთესო იყო, მასზე ყველანი რომ შევთანხმებულიყავით, მაგრამ რადგან ყოველ აზრს სხვათა მიერ გამოთქმული დიამეტრალურად სანინალმდეგო აზრი უპირისპირდებოდა, ამას უნდა ვეიძულებინეთ, გონს მოვსულიყავით. თუმცა ამას ვერ ვამჩნევდით. ჩვენ ფულს გვიხდიდნენ, ჩვენი პარტიის ადამიანები გვაქებდნენ და ამდენად, მიგვაჩნდა, რომ მართლები ვიყავით.

ახლა ჩემთვის ნათელია, რომ იქაურობა საგიჟეთისგან არაფრით განსხვავდებოდა, მაშინ კი ამის ბუნდოვანი ეჭვი მქონდა მხოლოდ და როგორც გიჟს შეეფერება, ყველას გიჟს ვეძახდი საკუთარი თავის გარდა.

### III

აი, ვცხოვრობდი ასე, სიგიჟით შეპყრობილი კიდევ ექვსი წლის განმავლობაში, მანამ, სანამ დავექორწინებოდი. იმ დროს საზღვარგარეთ წავედი. ევროპაში ცხოვრებამ და მონინავე და მეცნიერ ევროპელ ადამიანებთან ურთიერთობამ კიდევ უფრო განმიმტკიცა ის რწმენა სრულყოფის საჭიროებისა, რომლითაც მე ვცხოვრობდი, იმიტომ, რომ იგივე რწმენა მათშიც ვიპოვე. და ამ რწმენამ ჩემში მიიღო ის ჩვეული ფორმა, როგორც მას აქვს ჩვენი დროის განათლებული ადამიანების უმრავლესობაში. ეს რწმენა გამოიხატებოდა სიტყვა „პროგრესით“. მაშინ მეგონა, რომ ეს სიტყვა რალაცას გადმოსცემდა. მაშინ ჯერ კიდევ არ მესმოდა, რომ ისევე როგორც ყველა ცოცხალი ადამიანი, მეც გატანჯული შეკითხვებით, თუ როგორ აჯობებდა მეცხოვრა, ვპასუხობდი: იცხოვრე პროგრესის შესაბამისად, და ამით ვამბობდი ზუსტად იმავეს, რასაც ამბობს ტალღებისა და ქარისგან ათამაშებულ ნავში მჯდომი ადამიანი, თუ მისთვის ერთადერთ მთავარ შეკითხვაზე: „როგორ გადავირჩინო თავი?“ – არ უპასუხებს და იტყვის: „სადღაც მიგვერეკება ეს ტალღები“.